მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №4(114) 2016 წ. 16-29 თებერვალი ფასი 50 თეთრი

ვიცნობდეთ ჩვენს მუნიციპალიტეტს

გვერდი 3

ჩვენს მუნიციპალიტეტში

გვერდი 2

ტერიტორიული ორგანო

მანავი

გვერდი 4-5

სპორტი

სპორტსმენი გოგონები

გვერდი 3-6

პროსგორდი



გვერდი 7

ჩვენს მუნიციპალიტეტში

კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია

15 თებერვალს საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის საჯარო პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ***საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი*** **მიხეილ ბიორბაძე** და ***მინისტრის მოადგილე*** **ლევან ხარატიშვილი** უძღვებოდნენ. შეხვედრას, რომელიც კითხვა პასუხის რეჟიმში გაიმართა, კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის - ***გუბერნატორის მოადგილე*** **ბივი მეტრეველი,** ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **ბიორბი გზირიშვილი**, კახეთის რეგიონის სხვადასხვა სახელოვნებო დაწესებულების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, შემოქმედებითი სექტორისა და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ კულტურის სტრატეგიის დოკუმეტის სამუშაო ვერსია შემუშავდა. მთავრობის დამტკიცებამდე დოკუმენტის სრულყოფის მიზნით, სამინისტრო აგრძელებს სამუშაო ვერსიის საჯარო პრეზენტაციების ციკლს თბილისსა და რეგიონებში, ასევე კონსულტაციებს კულტურის სფეროს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან, მთელი საქართველოს მასშტაბით.

კულტურის სტრატეგიის მიზანია, განსაზღვროს საქართველოში კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, რომელიც წარმოაჩენს როგორც კულტურის თანდაყოლილ ღირებულებას, ასევე, მის მნიშვნელობას ეროვნული იდენტობისა და სოციალური ერთობის განმტკიცებასა და ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მეორე ეტაპის პრეზენტაცია

17 თებერვალს, ქ. საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენლებს, მუნიციპალიტეტის მეწარმეებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის გაიმართა საინფორმაციო სახის შეხვედრა, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მეორე ეტაპის საზოგადოებისთვის ადგილზე გაცნობა. 2016 წლის 15 თებერვლიდან 31 მარტამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგიონის მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი ბიზნეს იდეა ვებ-გვერდის მეშვეობით www.qartuli.ge და ჩაერთოს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში, რომელიც 5000 ლარის ოდენობით (მეწარმეთა ორკაციანი ჯგუფის შემთხვევაში 10 000 ლარი, ხოლო სამ კაციანი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში კი 15 000 ლარის ოდენობით) თანადაფინანსებას გულისხმობს და წარმოადგენს ბიზნესის განვითარების კარგ შესაძლებლობას. მეწარმის მხრიდან თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20%-სა.

კონკურსში ჩართვის შესაძლებლობა აქვს პირს რომელიც:

– სრულწლოვანია (18 წელს მიღწეული);
– არის საქართველოს მოქალაქე;
– არ არის საჯარო მოხელე;
– არ არის სსიპ მეწარმეობის სააგენტოს თანამშრომელი ან მისი ოჯახის წევრი;
– არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე განაცხადის შეტანის მომენტში და აცხადებს მზაობას ბიზნეს გეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად.

აღნიშნული პროგრამა საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და მიკრო ბიზნესის წამოწყების ხელშემწყობი პროგრამების ეკონომიკურად მოწყვლად რეგიონებში დანერგვას. საერთო ჯამში, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი მიმართულია რეგიონებში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საერთო კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

25 თებერვალი - საბჭოთა ოკუპაციის დღე საგარეჯოში

25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით სახელმწიფო დროშა დაუშვეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაზეც. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა*** **ბიორბი გზირიშვილმა**, მუნიციპალიტეტის ***გამგეობის მთავარმა სპეციალისტმა*** **ძაბული მათიაშვილმ**ა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

95 წლის წინ, 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის მე-11 არმია საქართველოში შემოიჭრა. საბჭოთა ოკუპანტებს წინააღმდეგობა ქართულმა ჯარმა, სახალხო გვარდიამ და მოხალისეებმა გაუწიეს. 4 ზარბაზნითა და 6 ტყვიამფრქვევით შეიარაღებულმა 510-მა იუნკერმა ბოლშევიკებს დროებით უკან დაახევინა.

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით 25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღედ არის გამოცხადებული. ყოველი წლის 25 თებერვალს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო დროშები ეშვება და ოკუპაციის მსხვერპლთა ხსოვნის საპატივცემულოდ წუთიერი დუმილი ცხადდება.

გვანცა ჯავახიშვილი

ჩვენი სპორტსმენი გოგონები

რა სჯობს – დარბაზში ვარჯიში, თუ?!..

როცა ამ ორიოდე წლის წინ საგარეჯოში ძიუდოს ქალი-მწვრთნელი, თბილისელი ლუდმილა (ლუდა) ფერაძე ჩამოვიდა, სკეპტიკურად შეხვდნენ – წარმოუდგენლად მიიჩნიეს საგარეჯოში, ქართული ჭიდაობის ამ ძირძველ კერაში ქალთა ძიუ-დოს განვითარება. მაგრამ... სულ ორიოდე თვეში საოცარ წარმატებებს მიაღწიეს გოგონებმა, რომლებმაც ჯერ გაუბედავად, მშობლების წინააღმდეგობების მიუხედავად ინტერესით შეაღეს სპორტული დარბაზის კარი. მათ მეცადინეობები ჯერ არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულ დაბაზში დაიწყეს, შემდეგ კი, როცა სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობას თავიანთი შესაძლებლობები დაუმტკიცეს, შალვა გზირიშვილის სახელობის სპორტული დარბაზი დაუთმეს მთლიანად, მოაწესრიგეს კვების ბლოკიც და აქ გოგონები შეჯიბრების წინ გარკვეულ მომზადებასაც გადიან.ზაფხულში აქ საზაფხულო მეცადინეობები ჰქონდათ კვებით, დასვენებით, გართობით... წარმატებებს, გამარჯვებებსაც ერთად აღწევენ, ერთად ზეიმობენ. გუნდში ნელ-ნელა ემატებათ გოგონები. მათთვის ლუდა მასწავლებელი, როგორც მას ეძახიან, მშობლიურ სითბოს, სიყვარულს უნაწილებთ. აგერ უკვე რიგით მესამე ძიუდოისტი გაქრისტიანდა – თამთა სუხიაშვილი. პირველი ნატალია ყიფშიძე, შემდეგ ანა ასანიშვილი მონათლა ლუდა მასწავლებელმა. სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობამ კი მათი გაქრისტიანება საკუთარი ხარჯებით „აღნიშნა“. ლუდა მასწავლებელთან ერთად ნათლიები თანაგუნდელი გოგონები და გაერთიანების დირექტორი გია მაისურაძეცაა. გოგონებს იმ ლამაზი დღეების მადლი და სიხარული არასოდეს ავიწყდებათ. გუნდში ახალმოსული და ახლადგაქრისტიანებული პატარა თამთა ისეთი გულმოდგინებით და შემართებით მეცადინეობდა, აშკარაა, მალე თავის თანაგუნდელების მსგავსად ჯილდოების დიდ „ყულაბას“ გახსნის.

გოგონებმა სულ ახლახანს საქართველოს პირველობაზე მიიღეს მონაწილეობა 1999-2000 წლებში დაბადებულებს შორის. საოცარი სითბოთი და სიყვარულით მესაუბრებიან მწვრთნელი და გაერთიანების დირექტორი გოგონათა წარმატებებზე და ერთ დიდ „ეშმაკობას“ ახლა ამხელენ: – პირველობა, მართალია 1999-2000 წლიანებში იყო, მაგრამ ჩვენი ძიუდოისტებიდან 2002 და 2003 წლებში დაბადებულებმაც მიიღეს მასში მონაწილეობა და შედეგი?! ყველა გავაკვირვეთ... ამას ჩვენი გოგონები თვითონ გეტყვიან.

აი, რას წერდა ჩვენი გოგონების გამოსვლის შესახებ ინტერნეტ-გაზეთი „მსოფლიო სპორტი“:

საერთაშორისო არენაზე ქართველი გოგონების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მოზარდებში ძიუდოს ნამდვილი ბუმი გამოიწვია. ამ მხრივ ბოლო დროს სასიამოვნო ძვრები შეინიშნება როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებშიც -საგარეჯოში, გორში, აჭარაში, იმერეთში და ამ ყველაფერმა ასახვა უკვე წლევანდელ პირველობაზეც ჰპოვა.

40 კგ წონით კატეგორიაში სულ ოთხი მონაწილე იყო და შეხვედრებიც წრიული სისტემით გაიმართა. ტრიუმფალური ჭიდაობა აჩვენა საგარეჯოელმა სალომე გულისაშვილმა.

მის ეფექტურ გდებებს გულგრილი არ დაუტოვებია დარბაზში შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი.

გულისაშვილმა სამივე ბრძოლა წამებში, ლამაზად მოიგო. იმდენად, რომ მის მწვრთნელს – ლუდა ფერაძეს ნამდვილად მიეცა სიამაყის საბაბი და ჩვენ კი იმის იმედი, რომ ეს სპორტსმენი უცილობლად შეძლებს კარგ ძიუდოისტად ჩამოყალიბებას.

მეორე ადგილი სალომე არაბულმა დაიკავა, მესამე კი ლიკა მზარეულიშვილი იყო.

44 კგ-ში უპირობო ფავორიტად 14 წლის საგარეჯოელი სალომე ბლიაძე მიიჩნეოდა.

ბლიაძემ ისე იჭიდავა, მცირედი ეჭვიც არავის შეპარვია მის სიძლიერეში. ანა ასანიშვილი და ვარდიკო ბუჩაშვილი სულ წამებში, ეფექტური გდებებით დაამარცხა. ნახევარფინალში ანა იმერლიშვილიც ადვილად ჩამოიშორა გზიდან და ფინალში მარიამ ლაფაჩიშვილს გადაეყარა.

თავიდან ჩრდილში მყოფი ლაფაჩიშვილი ისე მედგრად ეკვეთა ფავორიტს, ისეთი ბრძოლა გაუმართა, გამოცდილ ფალავანს შეშურდებოდა.

შეხვედრის ბოლომდე გაურკვეველი იყო ჩემპიონის ბედი, თუმცა მაინც ბლიაძემ იძალა და ოქროს მედალიც ირგუნა.

ლაფაჩიშვილს კი ნამდვილად ეკუთვნის ტურნირის ერთ-ერთი აღმოჩენის ტიტული.

მესამე ადგილები ანა ასანიშვილმა და ანა ეთემაძემ დაიკავეს.

ძიუდო

48 კგ-ში სერიოზული შემადგენლობა შეიკრიბა. გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიადის პრიზიორი, ასევე კადეტებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონეტების მონაწილე 17 წლის ნატალია ყიფშიძე სახელდებოდა.

თუმცა პირველივე შეხვედრა გორელ მარიამ მაზანაშვილთან ურთულესი გამოდგა.

შიდა ქართლელი სპორტსმენი არაფრის დათმობას არ აპირებდა, ერთ მომენტში გდებაც გააკეთა, მაგრამ მსაჯებმა არ შეაფასეს.

საბოლოოდ გამარჯვებული ყიფშიძე გამოვიდა, ვისაც მოგება ძვირად დაუჯდა - სერიოზულად დაიზიანა ფეხი და ტურნირის ბოლომდე ტრავმით იჭიდავა.

პირველ შეხვედრაში "ბეწვის ხიდზე" გავლის შემდეგ ყიფშიძემ ძალების სრული კონცენტრაცია მოახდინა და დამაჯერებლად დაამარცხა ძალზედ პერსპექტიული საგარეჯოელი 14 წლის მარი კოხტაშვილი, ვისაც შესაშური ფიზიკური და ტექნიკური მონაცემების გათვალისწინებით, ვფიქრობთ გამორჩეული კარიერა ელოდება.

საერთოდ ეს წონა ძალიან დაძაბული გამოდგა. ფინალში ქვედა ბადიდან ტურნირის კიდევ ერთი აღმოჩენა 15 წლის საგარეჯოელი ხატია მინდიაშვილი გავიდა.

ფიზიკურად ძლიერმა მინდიაშვილმა დამაჯერებლად დაამარცხა გვანცა მეხრიშვილი, ნატო ფოთელიძე და ფინალში არც ყიფშიძესთვის აპირებდა რამის დათმობას.

თუმცა ამ უკანასკნელის გამოცდილებამ თავისი გაიტანა და მინდიაშვილი მხოლოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ნატალია ყიფშიძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა წონაში ლიდერის სტატუსი

მინდიაშვილს კი გულდასაწყვეტი არაფერი აქვს - მან ომახიანად შეაბიჯა წონის საუკეთესოებში და ყველას აგრძნობინა, რომ მისთვის ანგარიშის გაწევა მოუწევთ.

ვფიქრობთ, მომავალში ხატია მინდიაშვილს საერთაშორისო ასპარეზზე თავის გამოჩენის შანსიც მიეცემა.

მესამე ადგილები ამ წონაში აჭარელმა ნატო ფოთელიძემ და ზემოთ ხსენებულმა მარი კოხტაშვილმა დაიკავეს.

თიკო რევაზიშვილი საქართველოს ნაკრების პოტენციური კანდიდატია და საკუთარი სიძლიერის დამტკიცება სურდა.

მას შემდეგ, რაც წინა დღით კიდევ ერთმა ფავორიტმა ლილე ხარანაულმა ტრავმა მიიღო, ელენე ბებოშვილს შედარებით ადვილად გაეხსნა გზა ფინალამდე.

დასასრული მე-6 გვერდზე

დასასრული

დასაწყისი იხ. „გარეჯის მაცნე“ №2

„სადაც ვშობილვარ...“

ვიცნობდეთ ჩვენს მუნიციპალიტეტს

დიდი ფართობები უკავია სუსტად განვითარებულ სხვადასხვა ტიპის ნიადაგებს, კლიმატი იცვლება ზონალურობის მიხედვით – დაბალ ზონაში ზომიერად დაბალი სტეპური ჰავაა გაბატონებული, ხოლო შედარებით მაღალ ზონაში, ზომიერად ნოტიო. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 15-20 გრადუსის ფარგლებში. მაქსიმალური ტემპერატურა პიკზე აღწევს 35-38 გრადუსს, მინიმალური კი შესაძლოა დაეცეს -16 მდე და ქვევით. ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა მერყეობს 500-დან-700 მმ-მდე. ქარის ენერგეტიკული რესურსი (1000 კვტ. სთ.) ერთ მ2-ზე საშუალოდ შეადგენს 5,2 მ.წ. მუნიციპალიტეტის მთავარი ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდინარე იორი, რომელიც მას ორ ნაწილად ჰყოფს, იგი სათავეს იღებს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, ბორბალოს მიდამოებში. მდინარე იორიდან გაყვანილია ზემო სამგორის მაგისტრალური არხი, რომელიც ჩაედინება თბილისის ზღვაში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **მდინარე იორის** მთლიანი სიგრძე შეადგენს 320 კმ. მდინარე იორს მუნიციპალიტეტის საზღვრებში ერთვის 12 უმნიშვნელო შენაკადი, რომელთა ნაწილიც ხანგრძლივი დროის მანძილზე გამშრალია, ისინი ხასიათდებიან უეცარი წყალმოვარდნებით, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მოსახლეობას და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს რამდენიმე ტბა, რომელთა სარკის ზედაპირის ფართობი 3 ჰა-ზე მეტია, ასეთებია სოფელ უჯარმის შესასვლელში – ყოფილი უჯარმის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე ტბა, სოფელ სათაფლეს (კრასნოგორკის) ტერიტორიაზე არსებული ტბა და საგარეჯო-უდაბნოს გზის შუაგორის მონაკვეთთან მარჯვენა და მარცხენა მხარეს მდებარე ტბები, რომლებიც გაჯერებულია გლაუბერის მარილით და გარკვეული პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა მისი მოპოვება. წყაროსთავის სამხრეთით ე.წ. პლატინიდან გადის ორი მარჯვენა და მარცხენა სარწყავი მაგისტრალური არხები, რომელთა ჯამური სიგრძე არის 75,4 კმ. მარჯვენა მაგისტრალური არხის სიგრძე არის 28,4 კმ. ხოლო მარცხენა მაგისტრალური არხის სიგრძე კი 47 კმ. მომსახურეობის ფართობი შეადგენს 23056 ჰა-ს, მარჯვენა მაგისტრალური არხის – 9642 ჰა. ხოლო მარცხენასი – 13414 ჰა. დღეის მდგომარეობით წყალუზრუნველყოფილი ფართობია სულ 6141 ჰა. მარჯვენასი – 3846 ჰა. ხოლო მარცხენასი – 2295 ჰა. საპროექტო წყალგამტარიანობა მარჯვენა მაგისტრალურ არხს აქვს 9,5 მ3/წმ. ხოლო მარცხენას 21 მ3/წმ. დღეის მდგომარეობით, სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ფაქტიურად მარჯვენა მაგისტრალური არხი ატარებს 6,1 მ3/წმ. ხოლო მარცხენა 7 მ3/წმ-ს. ჩატარდა ორივე არხის გაწმენდითი სამუშაოები. ე.წ. პლატინასთან მიყვანილია დენი, რომლითაც რეგულირდება წყლის დონის მარეგულირებელი ფარების აწევ-დაწევა. ასევე მიმდინარეობს შიდა არხების აღდგენითი სამუშაოები. დღეისათვის პრობლემატური რჩება მუნიციპალიტეტში სატუმბი სადგურების აღდგენა, რითაც მარტო ქ.საგარეჯოში 600 ჰა-ზე მეტი ფართობები მიიღებს წყალს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 26 **საჯარო სკოლა,** აქედან ქ. საგარეჯოში 4 საჯარო სკოლაა, სადაც ცოდნას 7150 მოსწავლე ეუფლება, მათგან 385 მეთორმეტეკლასელია, 657 – პირველკლასელი. მოსწავლეთა სწავლა-აღზრდას 811 პედაგოგი ემსახურება.

არის **კერძო სკოლები – პატარძეულის ძართულ-ფრანგული ლიცეუმი, ქ. საგარეჯოს საერო სკოლა**.

კოლეჯი – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს პროფესიული კოლეჯი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს **29 საბავშვო ბაღი,** აქედან 2 ალტერნატიული ჯგუფია, სადაც აღსაზრდელთა რაოდენობაა 1284, პედაგოგია – 305.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი კულტურისა და დასვენების ობიექტები (თეატრი, მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, სამკურნალო გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, სკვერები, პარკები და სხვა):

ქ. საგარეჯოს კულტურის სახლი, მასთან არსებული (5 სასოფლო კლუბი სოფლებში – კოჭბანი, პატარძეული, თოხლიაური, ბადიაური, უდაბნო, თოჯინების სახალხო თეატრი, თეატრალური დასი)

მასთან არსებული: ა) ქალთა („ჩინარი“)და ვაჟთა („გარეჯი“) მომღერალთა გუნდები. ბ) ცეკვის ანსამბლები.

საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

გ.ლეონიძის სახელობის სახლ-მუზეუმი.

ა.ი.პ. სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი - 820 კვ.მ საცურაო აუზით. ქ. საგარეჯო.

საჭიდაო დარბაზი - 10 (ქ.საგარეჯოში 3 და სოფლებში 7).

ერთი ფეხბურთის სტადიონი , ქ.საგარეჯო.

მინი გამაჯანსაღებელი მოედნები - 8.

სოფ. პატარძეულის გმირთა მემორიალი.

სკვერი ქ. საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩაზე - 1638 კვ.მ.

ქ.საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული სკვერი - 850 კვ.მ.

ქ.საგარეჯოს მუზეუმის პარკი - 8648 კვ.მ.

სოფ. პატარძეულის სკვერი - 600 კვ.მ.

სოფ. ნინოწმინდის სკვერი - 185 კვ.მ.

სოფ. ყანდაურის სკვერი - 849 კვ.მ.

სოფ. ბადიაურის სკვერი - 850 კვ.მ.

ბიბლიოთეკები. (1 ცენტრალური, 2 სასოფლო – კაკაბეთსა და პატარძეულში).

ძირითადი **სატრანსპორტო კომუნიკაციები** და არტერიებია:

1. თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის სახელმწიფო გზა.

2. თბილისი-გომბორი-თელავის სახელმწიფო გზა.

3. თბილისი-კახეთის სარკინიგზო მაგისტრალი.

ადგილობრივი საავტომობილო გზების სიგრძეა 188,8 კმ. შიდა გზების მდგომარეობა ასეთია:

1. გზა ასფალტოვანი საფარით, სიგრძე - 70,1 კმ.

2. გზა ხრეშიანი საფარით, სიგრძე - 37,1 კმ.

3. გზა გრუნტოვანი საფარით, სიგრძე - 81,6 კმ.

მანავის თემი
მანავი, ბურდიანი, თარაქი
კომლი – 1170
მოსახლეობა – 3334 კაცი;
მიწის ფართობი:
სულ – 3769,5ჰა
აქედან:
კერძო – 2070 ჰა;
სახელმწიფო – 1699,5 ჰა
სასოფლო-სამეურნეო მიწები:
სულ – 3237 ჰა
აქედან:
კერძო – 2070 ჰა
სახელმწიფო – 1167 ჰა.
სახნავი
სულ – 1703
აქედან:
კერძო – 1200 ჰა
სახელმწიფო – 508 ჰა
საძოვარი
სულ – 883ჰა
აქედან:
კერძო – 222ჰა
სახელმწიფო – 661ჰა
მრავალწლიანი ნარგავები
სულ – 646ჰა (კერძო)

2012 წელი



გამგებლის წარმო-
მადგენელი მანავში
დიმიტრი საბაშვილი

„სოფლის პროგრამის“ ფარგლებში გაკეთდა:
სანიაღვრე და სარწყავი არხი (27000 ლარი);
სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზა (13000 ლარი); აღდგა ზემო მანავში არსებული მინი სტადიონი (14660 ლარი); ბურდიანში შეკეთდა მისასვლელი სასოფლო გზა (2628 ლარი).

2013 წელი

მოხდა სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია (54733 ლარი);

2014 წელი

გამოყვანილ იქნა არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილიდან სასმელი წყალი და მოეწყო კიდევ ერთი ჭაბურღილი (314968 ლარი);
ჩატარდა სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (3712 ლარი), შიდა გზებისა და სანიაღვრე არხების სამუშაოები (48358 ლარი)

2015 წელი

გაკეთდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, ***მოეწყო*** სარწყავი არხი-კიუვეტი 150 მ სიგრძეზე, ***მოიხრეშა*** შიდასასოფლო გზები და ***მოეწყო*** სანიაღვრე არხები 0.12 კმ-ზე (56076 ლარი).
მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მოეწყო სასმელი წყლის ხაზი – 5,1 კმ-ზე (5048 ლარი), ***შეძენილ იქნა*** ახალი პოლიეთილენის მილები (0,8კმ) დაზიანებული მილების ამოსაცვლელად.
მოხდა №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რაზედაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 150729 ლარი იყო გამოყოფილი.
2016 წლისათვის მანავის მოსახლეობამ პრიორიტეტულ საკითხებად ჯერ კიდევ 2015 წლის ბოლოს ე.წ. ტურის უბანში სანიაღვრე არხის, სოფელში 3 ადგილზე მგავრთა მოსაცდელის მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა, ე.წ. ზემო მანავისა და მანავის დამაკავშირებელ ქუჩაზე გარე განათების მოწყობა დასახა.

სკოლამდელი აღზრდა

მანავში ფუნქციონირებს ორი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომლებიც დღეისათვის, ჯერ-ჯერობით ერთ შენობაშია განთავსებული – №1 დაწესებულების შენობაში. შენობა ერთსართულიანია, სამი წლის განმავლობაში ავარიულობის გამო დაკეტილი იყო და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი №2 დაწესებულებაში მიმდინარეობდა, აღსაზრდელების გადასაადგილებლად გასულ წელსაც და მიმდინარე წელსაც გამოყენებულია სპეციალურად მიმაგრებული, დაქირავებული ტრანსპორტი. ამჟამად №2 დაწესებულების შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

ჯერიჯორიული ორგანო

მანავი

„ჰერეთის მთის ძირს არს მანავი“
(ვახუშტი ბატონიშვილი)

№1 დაწესებულებაში, რომლის ***მენეჯერი*** **ლილი დუჩიძეა**, 60 აღსაზრდელია,

საიდანაც 30 – სექტემბერში პირველი კლასის კარებს შეაღებს. ქალბატონი ლილი საბავშვო ბაღს 1966 წლიდან ხელმძღვანელობს.

საბავშვო ბაღის 4-4,5 წლიანთა ჯგუფში 33 აღსაზრდელია, რომელთა აღზრდა-განათლების საქმეს პედაგოგი **ნინო დალაქიშვილი** ემსახურება. ქ-ნი ნინო 25 წელია ამ საბავშვო ბაღის აღმზრდელი-პედაგოგია და პარალელურად 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატია. ამავე ჯგუფის აღმზრდელის თანაშემწეა **ლია დოხტურიშვილი**.

6 წლიანთა ჯგუფის აღმზრდელია **მზია სოროზნიშვილი,** ხოლო აღმზრდელის თანაშემწე **ნინო (ოქტიაბრინა) ხუციშვილი.**

№1 დაწესებულების აღსაზრდელებს მედდა **ქეთევან საბაშვილი** და მზარეული **ქეთინო ბორაშვილი** ემსახურებიან.

№2 დაწესებულების მენეჯერია **მაია მირზაშვილი**. აქ ჯერ-ჯერობით 20 აღსაზრდელია შერეული ასაკის ჯგუფში. აღმზრდელ **ქეთინო ლოლაძის**, აღმზრდელის თანაშემწის **ეკა დოდონაძის,** მედდის **ლალი ტაპატაძის**, მზარეულ **ქეთინო ქევხიშვილის** და დამლაგებელ **ლალი ბორაშვილის** მეთვალყურეობით აქ ლუკა,ბექა, გიორგი, თამუნა, ვასიკო, ნუკი, მარიამი, ნინი, ლიზი, მარიამი... თავს კარგად გრძნობენ, თავიანთ აღმზრდელებთან ერთად დიდი მოლოდინით ელიან მშობლიური საბავშვო ბაღის შენობის სამუშაოების დასრულებას, თუმცა,მუსიკის მასწავლებელ **მაია მასურაშვილთან ერთად**, რომელიც ერთდროულად ახლა სამივე ჯგუფის მუსიკის მასწავლებელია, მასპინძლის თავაზიანობით ჩვენი სტუმრობისას დიდი სიხარულით და ხალისიანად შეასრულეს სიმღერები.

აქ ყველა პირობაა შექმნილი მეცადინეობის, გართობის, თამაშისთვის, ამიტომაც ხალისიანად ეგებებიან სტუმრებს ლამაზი გოგო-ბიჭები, არც მორცხვობენ და პირიქით, ძალიანაც უხარიათ გაკრიალებულ შენობაში მასპინძლის როლის შესრულება – აქ ლამაზ, ნათელ ოთახებში ღრმად ეუფლებიან იმ ცოდნას, რომელიც მათი ასაკისთვისაა გათვალისწინებული. შესანიშნავი კვების ბლოკი გამდინარე წყლით, მზარეულების მიერ მომზადებული გემრიელი სადილები და და აღმზრდელ-პედაგოგებთან შემეცნებითი მეცადინეობები მათ ყოველდღიურობას ნათელი ფერებით ასხივოსნებს. ერთი საფიქრალი აქვთ მხოლოდ ორივე დაწესებულების თანამშრომლებს – უფრო და უფრო იზრდება მშობლების სურვილი შვილის აღსაზრდელად ამ დაწესებულებებში მისაყვანად, მაგრამ... მართალია, სექტემბრიდან №2 დაწესებულება თავის ახლადგარემონტებულ შენობაში გადავა, მაგრამ ვერც ერთი დაწესებულება მაინც ვერ შეძლებს იმ კონტიგენტის მიღებას, რომელიც სექტემბრიდან ელოდება აქ მოსვლას.

განათლება

მანავის საჯარო სკოლა 1965 წელს შევიდა ექსპლოატაციაში №2 სკოლის სახელწოდებით, ე.წ. ზემო მანავში №1 საშუალო სკოლის გასული საუკუნის 90-იან წლებში გაუქმების შემდეგ სკოლას ნუმერაცია გაუუქმდა. ***სკოლის მენეჯერია*** **ლია ყორღანაშვილი,** რომელიც აქ 1971 წლიდან ჯერ ისტორიის მასწავლებელი

იყო, შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგე და 1997 წლიდან დღემდე სკოლის მენეჯერია. სკოლაში 365 მოსწავლეა, აქედან 16 – მეთორმეტეკლასელი, 40 პირველკლასელი. სკოლის 39 მასწავლებლიდან ორი სერტიფიცირებულია. სკოლაში სულ 17 ფინანსური კლასია. აქ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ორი კაბინეტი აქვთ (მათგან ერთი „კატის“ გამოცდების ჩასაბარებლადაა). სკოლის დირექტორი და პედაგოგები ამაყობენ თავიანთი სკოლის კურსდამთავრებულებით, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალ შედეგებს იმსახურებენ და ჯილდოვდებიან გრანტებით. მიმდინარე სასწავლო წელს კი მათ მეთორმეტეკლასელის, ოქროს მედლის კანდიდატის ნინო ბორაშვილის „ეტალონში“ გამარჯვება იზეიმეს. მას არც გიორგი ჭეშურაშვილი ჩამორჩება სწავლაში მიღწეული შედეგებით, რომელიც ასევე აქტიურად მონაწილეობს რაიონის მასშტაბით მოწყობილ მოსწავლე-ახალგაზრდობის ღონისძიებებში. სკოლის მოსწავლეები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ მოსწავლეთა რესპუბლიკურ შემოქმედებით ოლიმპიადებში.

სკოლას აქვს სკოლის თანხებით რეაბილიტირებული სპორტდარბაზი, სადაც ხშირად ტარდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი შეჯიბრებები, „ძხიარული სტარტები“. ღია სპორტული მოედანი კი გრანტის სახით მოპოვებული იმ 5 ათასი ლარით გაკეთდა, რომელიც სკოლის მენეჯერმა კონკურსში დაიმსახურა და სკოლის ფინანსებიდანაც 1500 ლარი დაამატეს.

სკოლაში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ (ქორეოგრაფები თინა მეზვრიშვილი და გია კუჭუაშვილი), რომლის მოცეკვავეებიც რამდენჯერმე იყვნენ თურქეთში კონცერტის ჩასატარებლად.

სამედიცინო მომსახურება

3300-ზე მეტი მანაველის ჯანმრთელობას მანავის საექიმო ამბულატორია ემსახურება. აქ მათ პროფესიონალი ოჯახის ექიმები **ლეილა ტაკაშვილი** და **მაია ოზგელდაშვილი** შესაბამის სამედიცინო მომსახურებას უწევენ.

კულტსაგანმანათლებლო

სოფელს არა აქვს სასოფლო კლუბი და სასოფლო ბიბლიოთეკა.

სპორტი

სულ ახლახანს მანავის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობაში ერთ ოთახში კარატეს შემსწავლელი წრე შეიქმნა, სადაც უამრავმა მანაველმა ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი აქ ვარჯიშის. მანავი ამაყობს თავისი შვილებით, სპორტში მიღწეული წარმატებებით. აქაურმა ძიუდოისტმა ირაკლი კუპატაძემ არაერთხელ გაახარა მანაველები. ამიტომაც მანაველი ახალგაზრდების დიდი ხნის ოცნებაა სოფელში ჭიდაობის სექციის გახსნა, სადაც ისინი თავისუფალ დროს ვარჯიშსა და ჭიდაობის საიდუმლოებების დაუფლებაში გაატარებენ.

მომსახურება

სოფელს აქვს სარიტუალო სახლი, რამაც მრავალგზის პრობლემა მოუხსნა აქაურებს.

კომუნალური მომსახურება

მანავის ცენტრალურ უბნებში ჯერ-ჯერობით 8 ცალი ნაგვის ყუთი დაიდგა,

დასასრული მე-5 გვერდზე

აღმზრდელი მზია
სოროზნიშვილი და
თანაშემწე ნინო ხუციშ-
ვილი აღსაზრდელებთან

აღმზრდელი ნინო დალაქიშვილი და თანაშემწე ლია დოხტურიშვილი აღსაზრდელებთან

ტერიტორიული ორგანო

მანავი

დასასრული

თუმცა სოფელი ვრცელ ტერიტორიაზეა განფენილი და აქ სულ მცირე 30 ყუთი მაინცაა საჭირო.

გასაწმენდია აქ არსებული ხევები, რომელთა გაწმენდაც უახლოეს ხანში დაიწყება.

დემოგრაფია

დემოგრაფიული მდგომარეობა აქაც ისეთივე არასახარბიელოა, როგორც სხვა ქართულ სოფლებში – ოჯახები ტოვებენ მშობლიურ სახლებს და საზღვარგარეთ მიდიან სამუშაოსთვის. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის ცვლაში. ბოლო ორ-სამ წელიწადში 500 მოსწავლიდან აქ 365 მოსწავლეღაა.

ისტორიული ძეგლები

სოფლის ჩრდილოეთით, ტყეებსა და ნასოფლარში გაბნეული ისტორიული, კულტურული და რელიგიური ძეგლები მანავის დიდ და დიდებულ ისტორიას მოგვითხრობენ. აქ VI-XII საუკუნეების იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, X-XI საუკუნეების „ქალის ციხე“, IX-X საუკუნეების მანავის ციხის კომპლექსი შიგ არსებული გრიგორიანული (XVIII ს) და მართლმადიდებლური (VIIს) ეკლესიები აქ ქართველი და სომეხი ეროვნების დასახლებაზე მიუთითებენ. სასაფლაოზე გვიანდელი საუკუნეების „**ძაშვეთის**“ ეკლესიაა, უძველეს სოფელ თარაქში **თელეთის წმინდა გიორგის სახელობის** ეკლესიაა. გვიანი საუკუნეების ეკლესიები დიდი ოდიში და პატარა ოდიში მანავის ჩრდილოეთით, სოფლიდან 1,5 კმ-ს მანძილზეა. რაც შეეხება „თათრების ციხეს“, ის გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ე.წ. გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება.

მანავის ციხე

(მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

მანავის ციხე ბოლო საუკუნეებში ფეოდალური კახეთის ერთ-ერთი ცენტრთაგანი იყო. ციხე გამორჩეული იყო თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით. ის აღმართული იყო წამოწეულ მთის იმ წვერზე, რომელიც ბატონობს ამ მხარეზე. ხეობა ორივე მიმართულებით კარგად ჩანს, თითქმის, 10-15 კმ-ზე. ვახუშტი ბატონიშვილი განმარტავს: „ჰერეთის მთის ძირს არს მანავი, სადაც აღაშენა სასახლე იმამ-ყული ხან. მთის ძირად. ძველათ ციხე და აწ შემუსვრილი“. ამ ცნობის მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვახუშტის რუსეთში წასვლის დროს – 1724 წელს, მანავი სრული ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო იქვე არსებული ძველი ციხე იყო „შემუსვრილ“.

№2 ბაღის მენეჯერი მაია მირზაშვილი, თანაშემწე ეკა დოდონაძე და მუსიკის მასწავლებელი მაია მასურაშვილი აღსაზრდელებთან

მემატიანეები რამდენიმე ცნობას გვაწვდიან XVIII საუკუნის პირველი ორი ათეული წლების ფარგლებში, მაგრამ არაა ცნობილი, თუ რა ხდებოდა მანამდე ან შემდეგ. XVIII საუკუნის დასაწყისიდან კახეთის მეფე დავით II-ს (იმამ-ყული ხანს) მანავი რეზიდენციად გაუხდია და იგი აქედან მართავდა ქვეყანას. ეტყობა, ადრე იქ მდგარი ნაგებობები საკმარისი არ ყოფილა და იგი აგებს სასახლეს. მემატიანე წერს, რომ ლეკთა მოძალების გამო ადარ იდგომებოდა ყარაღაჯში და „დაუტევა იმამ-ყული ხან ყარაღაჯი და ჰყო სასახლე თვისი თელავს და მანავს და იმყოფებოდა ზამთარს მუნ“.

ამ დროს მანავი რომ ცენტრი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მეფე თეიმურაზ II-მ 1712 წელს აქ იქორწინა და აქვე იმყოფებოდა მომდევნო წლებშიც (მემატიანე).

ციხეზე ამის შემდეგ არაფერი ისმის. მოგვიანებით გვაქვს გიულდენშტედტის ცნობა, რომელმაც აქ გაიარა 1772 წელს. საგარეჯოდან გასვლის შემდეგ იგი შედის მანავში და წერს: „ეს სოფელი თითქმის განადგურებულია; გადარჩენილ მოსახლეთაგან მცირე ნაწილმა შეაფარა თავი ოდნავ ჩრდილოეთით ვიწრო გალავანს ციცაბო

მზაპრეულები ძეთინო ბორაშვილი და ძეთინო ძევხიშვილი

მაღლობზე“,– ეს არის ბოლო ისტორიული წყარო, რომელიც წინა საუკუნეებში მანავის ციხეს მოიხსენიებს.

მანავის ციხე-სიმაგრე ძლიერ დაზიანებული სახითაა შემორჩენილი. მის არქიტექტურაში ძნელად, მაგრამ მაინც გამოიყოფა ორი ძირითადი სამშენებლო ფენა. ძველი ფენა X-XI საუკუნეებზე მიუთითებს. ეს არის ციხის ნაშთები და კონტრფორსებით გამაგრებული ციხის გალავანი, რომელიც კახეთის სამეფოს გაძლიერების პერიოდს მიეკუთვნება. მეორე ფენა XVI-XVIII საუკუნეების სასახლეებისა და საცხოვრებელი სახლების ფრაგმენტებია. ეს პერიოდი ემთხვევა აქ მეფის რეზიდენციის დამკვიდრებას.

მანავის ციხე მიუდგომელია დასავლეთის მხრიდან. სხვა მხარეებიდან შედარებით ადვილი მისადგომია ჩრდილოეთი, სადაც საურმე გზა მიდიოდა. ციხესიმაგრე ორი ნაწილისაგან შედგება: შიდა ციხე ანუ ციტადელი და ქვედა ციხე.

ციტადელს მაღალი ადგილი ეკავა. იგი გეგმით უსწორო ოთხკუთხედია. მისი სიგრძე (ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით) თითქმის ორჯერ აღემატება სიგანეს. გარე კედლებიდან უკეთაა შემორჩენილი დასავლეთისა და ჩრდილოეთისა. დანარჩენისა მხოლოდ კვალი ჩანს. ციტადელში განლაგებულია მეორე – ქვედა ციხის (მეფის რეზიდენციის) ნაგებობებიც.

ციტადელის ჩრდილოეთი კედლის შუაზე მოზრდილი სასახლე მდგარა. მისგან დარჩენილია 6-7 მეტრის სიგრძის კედელი. კოჭების ბუდეების მიხედვით მასში სამი სართული ირკვევა. მესამე სართულის კედლიდან მხოლოდ ქვედა ხაზია დარჩენილი. შენობის გარე კედელი ყრუა. აქვე, პირველი სართულის ქვეშ, დატანებული ყოფილა მცირე ზომის სწორკუთხა წყალსაცავი. მას კამაროვანი გადახურვა აქვს.

სასახლის აღმოსავლეთით დიდი ზომის კოშკოვანი სახლის ნანგრევებია. მისი გეგმა თითქმის კვადრატულია. არსებული კედლების მიხედვით, ეს ნაგებობა სამსართულიანი კოშკი მაინც იყო. ცხადია, ესეც სასახლეა. მისი ქვედა სართული დაფარულია ნანგრევებით. კარი მეორე სართულზეა ეზოსკენ (სამხრეთით). კარის პირდაპირ სარკმელია. მის მარჯვნივ კუთხეში პატარა ნიშებია. მესამე სართულის კედლის ფრაგმენტებში არავითარი დეტალი არ ჩანს. სასახლე ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით.

ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე სწორკუთხა ბურჯს ეჭირა. შესაძლოა, აქ მცირე კოშკიც იყო. ამ ბურჯსა

სპოლკოვნიკი, აღზრდის დაზღვევაზეების მედიცინის დეპილალი ტაპატაძე და ძეთიეზან საბაშვილი

და კოშკს შორის ციხის კედელი ნახევარწრიული ბურჯითაა გამაგრებული.

ციტადელის დასავლეთის გალავნიდან სამხრეთი ბოლოა დარჩენილი. აქაც კუთხეში მოზრდილი კოშკოვანი სახლი მდგარა. მისი გეგმა არ იკითხება, რადგან სამი კედელი დანგრეულია და თანაც, რაც გადარჩა, ისიც ნანგრევებშია ჩაფლული. არსებულ დასავლეთის კედელზე სამი სართული ჩანს. ეს კედელი სიმაღლით 8 მეტრს აღემატება. პირველი სართულის კედელში მაღალი და განიერი სარკმლებია. მეორე სართული კი ამ მხარეს ყრუა. მესამე სართულს მცირე ზომის სათვალთვალო ამბრაზურა აქვს. ეს შენობა ფერდობს ემიჯნებოდა და რაღაც მომენტში საშიშ მდგომარეობაში აღმოჩენილა, რის გამოც სამხრეთ-დასავლეთით დიდი კონტრფორსი მიუდგამთ; ხოლო დასავლეთის მთელ სიგრძეზე კედელი მიუშენებიათ. ამ ახალ კედელს ძველი კედლის სარკმელი სანახევროდ დაუფარავს. შენობის გამაგრება დიდი მასშტაბითაა ჩატარებული, მაგრამ კონსტრუქციულად კარგად ვერ ყოფილა გათვლილი, რადგან ამჟამად ეს დამატებითი კედლები დაძრულია, ხოლო გასამაგრებელი კედელი უკეთ დგას.

იმავე გალავნის შუაზე კიდევ ერთი ორსართულიანი შენობის ნანგრევებია. მისგან მხოლოდ გარე კედელია დარჩენილი. ამ შენობაზე მისი დაზიანების გამო, სხვა



მანავის საჯარო სკოლის პედაგოგი ლია დარბაისელი

დეპარტამენტის ექიმი ლელა ტაკაშვილი

არაფრის თქმა არ შეიძლება.

ციხე-სიმაგრის შუაში ჯგუფად დგას მცირე ზომის სამი დარბაზული ეკლესია წყალსაცავითურთ. პირველი ეკლესია – მათგან ყველაზე ადრეული – ჩრდილოეთით მდგარა. მის შიდა კედლებს მოხატვის კვალი არ ეტყობა. ფასადები კი კარგად თლილი შირიმის ქვითაა შემოსილი.

ამ ეკლესიის სამხრეთით მდგარა მეორე ეკლესია, კიდევ უფრო პატარა. იგი უაფსიდოა, სწორკუთხა საკურთხევლით.

მისგან აღმოსავლეთით დგას მესამე ეკლესია, აგრეთვე ერთნავიანი. იგი შედარებით მოზრდილია.

მოზრდილი ეკლესიის ქვეშ 3-4 მეტრის სიღრმის წყალსაცავია, რომელიც გადახურულია შეისრული, დამჯდარი კამარით. წყალსაცავის კედლები მტკიცე ბათქაშითაა დაფარული. წყლის ჩასაშვებად დასავლეთი კედლის შუაზე, თითქმის მიწის დონეზე დატანებულია სწორკუთხა ხვრელი (10X15 სმ). ამ ხვრელის ქვედა ქვა თხუთმეტიოდე სანტიმეტრით წინაა გამოწეული, შემდეგ ხვრელი უხვევს და გადის აუზის კამარის ქვემოთ. თაღოვანი გადახურვის მქონე წყლის მისაღები კარი მოთავსებულია ქვემოთ, აღმოსავლეთის ფასადის შუაზე.

ამ ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ციხეს მესამე წყალსაცავიც ჰქონდა. იგი ზომებით ოდნავ ნაკლებია ეკლესიის წყალსაცავზე. მას გრძელი სწორკუთხა გეგ-

ოჯახის ექიმი მაია ოზგელდაშვილი

მა და კამაროვანი გადახურვა აქვს. კამარა ჩამონგრეულია და ამიტომ არ ირკვევა, როგორ ხდებოდა წყლის ჩასხმა და ამოღება.

ციტადელის აღმოსავლეთით მიდგმულია ქვედა ციხე. იგი პირველს (ციტადელს) ზომით თითქმის ორჯერ აღემატება. აქ ერთ დროს მეფის რეზიდენცია ყოფილა. როგორც მოსალოდნელი იყო, რეზიდენციის ნაგებობები ციტადელში განულაგებიათ. ციხის ჭიშკარი მდებარეობდა ქვედა ციხის ჩრდილო კედლის შუაზე. აქ გვიან საუკუნეებში მიღებული წესის შესაფერისად, საყარაულო კოშკი მდგარა. მის პირველ სართულში კი კამაროვანი გასასვლელი ყოფილა. ასეთი გადაწყვეტა XVII საუკუნეზე ადრე არ გვხვდება. ეს საყარაულო კოშკი დანგრეულია და იქვე ყრია დიდ ბლოკებად. ზედა, ძველ ციხეში შესასვლელი ყოფილა აღმოსავლეთის გალავანში, ჭიშკრის სიახლოვეს. ეს შესასვლელიც დაზიანებულია.

გალავანი ძლიერ დაზიანებულია. მისი კედლები გამაგრებული ყოფილა ნახევარწრიული მოყვანილობის ბურჯებით. კედლების ზედა ხაზი არსად არაა შემორჩენილი. ამიტომ დაცვითი ელემენტი არ დგინდება. გალავნის ერთი ნაწილის კვალის გარკვევაც კი ძნელდება. ზოგან სულაც აღარ არის. მაგალითად, ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში, სადაც ჩამოზვავებულ მთას კედლებიც წაუღია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ

ᲠᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ – ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ, ᲗᲣ?!..

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

იქ თავდაპირველად რევაზიშვილს და შარაძეს მოუწიათ დაპირისპირება.

სრულიად თანაბარ ბრძოლაში მაინც საგარეჯოელმა რევაზიშვილმა იძალა და ნახევარფინალში ხუნჯუასთან შეხვედრა დაიბევა.

ეს ნახევარფინალური პაექრობა, თამამად შეიძლება ითქვას გოგონათა მთელი ტურნირის მშვენება გამოდგა.

თავისუფალი ჭიდაობიდან ძიუდოში გადმოსულმა ხუნჯუამ საფირმო "წისქვილით" ვაზარიზე დააგდო მეტოქე. თუმცა შემდეგ ფიზიკურად ძლიერმა რევაზიშვილმა შებოჭვაზე მოაყოლა ხუნჯუა და გამარჯვება აღარც გაუშვა ხელიდან.

ფინალი ბებოშვილს და რევაზიშვილს შორის არანაკლებ დაძაბული იყო.

გულშემატკივარი არცერთს აკლდა. მთელი დარბაზი ამ ორთაბრძოლის მოლოდინში გაირინდა.

ბებოშვილი დამაჯერებლად ჭიდაობდა, დაწინაურდა კიდეც. თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია რევაზიშვილის თავდადება, ბრძოლის უნარიანობა.

მას ბოლო წამამდე არ დაუყრია ფარხმალი, მაგრამ შეხვედრის შემობრუნება მაინც ვერ შეძლო. გულითადად მიულოცა მეტოქეს გამარჯვება, ტატამიდან გამოსულმა კი ცრემლები ვეღარ შეიკავა.

ვფიქრობთ, ლუდა ფერაძის აღზრდილი რევაზიშვილიც იმსახურებს საერთაშორისო სარბიელზე მონაწილეობის შანსს.

საქართველოს ნაკრების წევრმა 16 წლის სალომე მჭედლიშვილმა 12 წამში დაამარცხა გულიკო კახოიანცი და ოქროს მედალი მოიპოვა.

ჩვენი შეფასებით საგარეჯოელმა გოგონებმა შემდეგი შეფასება დაიმსახურეს:

მომავლის იმედი: სალომე გულისაშვილი, სალომე ბლიაძე;

ტურნირის გმირობა: ნატალია ყიფშიძე

ყველაზე მებრძოლი ძიუდოისტი: თიკო რევაზიშვილი, მარიამ ლაფაჩიშვილი

ტურნირის აღმოჩენა: მარი კოხტაშვილი.

მეც მხოლოდ მშრალი სიტყვებით არ მინდოდა მათ მიღწევებზე მესაუბრა მკითხველისთვის და გოგონებს თითო-თითოს ვესაუბრე.

ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ იგივე „ყიფშო“, როგორც მას მოფერებით ეძახიან საგარეჯოს II საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელია. 7 წელია ვარჯიშობს, სერიოზულად ხელი ძიუდოს ამ ბოლო წლებში მოჰკიდა – მიხვდა, რომ რაღაც ისეთი, განსაკუთრებული სიყვარული აქვს სპორტის ამ სახეობის მიმართ, დღედაღამ შეუძლია შესვენების გარეშე ივარჯიშოს, იყოს ფორმაში, ამიტომაცაა, რომ საქართველოს ჩემპიონია ხუთჯერ, 2013 წელს უკრაინაში საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და საქართველოს მიწას ოქროს მედლით დაადგა ფეხი. უნგრეთში ევროპის თასზე მხოლოდ ტრავმის გამო დათმო პირველი ადგილი. ოცნებობს სპორტულ აკადემიაში სწავლის გაგრძელებაზე და ლუდა მასწავლებლისათვის თავისი გამარჯვებებით უდიდესი სიხარულის მინიჭებისთვის. ახლახანს საქართველოს პირველობაზე ჯერ გორელს შეხვდა, შემდეგ თანაგუნდელ მარიამ კოხტაშვილს და ბოლოს ერთ-ერთ უძლიერესს ხატია მინდიაშვილს ფინალში მოუგო და ოქროს მედლით დაბრუნდა საგარეჯოში. ეს მეექვსე ოქროა მის მონაპოვარში...

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ – 12 წლის, ორი წელია ძიუდოს სექციაშია, აღარ ახსოვს მეხუთე თუ მეექვსე ოქროს მედალია. ამ ასპარეზობაში მან ჯერ წეროვნელი ძიუდოისტი დაამარცხა, შემდეგ თანაგუნდელი სალომე არაბული და ბოლოს ბათუმელი დაჯაბნა.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲑᲚᲘᲐᲫᲔ – 14 წლისაა, საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე. სალომეს აღარც ახსოვს მერამდენეა ეს ოქროს მედალი, ალბათ საერთო ჯამში მე-16 ჯილდოა. ამ ასპარეზობაში თანაგუნდელ ანა ასანიშვილს, ვარდო ბუჩაშვილს, ქართლელს და თანაგუნდელ მარიამ ლაფაჩიშვილს მოუგო. სპორტის გარდა უყვარს ქსოვა, კერვა.



ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ – სექციაში თანაგუნდელებს მეცადინეობით და მონდომებით არც *ვერცხლის მედლის* მფლობელები ჩამორჩებიან, მაგრამ ხანდახან ხდება ისე, რომ ტრავმის ან ზოგჯერ მსაჯების მიზეზით ხდება პოზიციების დათმობა...

ᲗᲘᲜᲐᲜᲝ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ – 15 წლის, საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეა. თინანოს მამა – დევა საგარეჯოელებისათვის ცნობილი, საკმაოდ წარმატებული მოჭიდავე იყო, ამჟამად – ჭიდაობის მწვრთნელია. პირველად ცოტა წინააღმდეგობები შეხვდა მასთან თინანოს, მაგრამ, როცა „დაუმტკიცა“, რომ შეუძლია და თანაც ძალიან კარგადაც, მამა ხმას ვეღარ იღებს და მასთან ერთად ახლა ცნობილი მოჭიდავე, თავისი მოგვარე „ჯღანაც“ მის მხარესაა და მთელი გვარის ბიჭებიც – მისგან დიდ წარმატებებს ელიან. ჯერ-ჯერობით კი თინანოს 5 ოქროს, 2 ვერცხლის მედალი აქვს... ძალიან უყვარს ხატვა, ფერები, ხატავს პორტრეტებს, პეიზაჟებს... დარბაზში არასოდეს ზარმაცობს და პაექრობამდე იცის, სპორტულად რომ ვთქვათ, კარგად უნდა „გახურდეს“, რომ რაიმე ტრავმა არ მიიღოს, მაგრამ ზოგჯერ ასეც ხდება.

ᲮᲐᲢᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ – 15 წლის, საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის მოსწავლე. ოქროს მედალი – 4, ვერცხლი – 4. ახლახანს გამართულ პაექრობაში ჯერ გვანცა მეხრიშვილი დაამარცხა, შემდეგ ფოთელი ძიუდოისტი და ბოლოს თანაგუნდელ ნატალია ყიფშიძესთან წააგო. ხატიასაც ხატვა უყვარს, თავისუფალ დროს დიდი სიამოვნებით ხატავს.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ – 12 წლის, საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის მოსწავლე. მას ოთხი ოქრო, სამი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი აქვს. პირველობაზე თანაგუნდელ სალომე გულისაშვილთან წააგო, გული დასწყდა, მაგრამ ის „ოქრო“ რომ მისმა გუნდმა მიითვალა, ეს უკვე სასიხარულო იყო... სალომეს ძალიან უყვარს ბურთით თამაში. ჯერ პატარაა, მაგრამ ძალიან უნდა ადვოკატი გამოვიდეს.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲐᲤᲐᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ – 13 წლისაა, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეა. სექციაში წელიწადი და 8 თვეა, რაც ვარჯიშობს, მიუხედავად ამისა, საოცარი მონდომებით ვარჯიშობს, საუბარში მწვრთნელმაც აღნიშნა და გაერთიანების დირექტორმაც. გასაკვირი კი ისაა, რომ მამა და მამიდა მოცეკვავეები იყვნენ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გარეჯის“ და მარიამს კი ერთხელაც არ გასჩენია სურვილი – გაჰყოლოდა ქორეოგრაფიას – მან ძიუდოს სექციას მიაშურა და ამ მოკლე პერიოდში ორი ოქროს და ექვსი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ერთი ეგ არის, ბოლოს ნატალია ყიფშიძესთან წააგო. პროფესია ეკითხეთ, სამომავლოდ გამომგონებელი მინდა გამოვიდეო, გამომიცხადა თამამად. ვნახოთ...

საქართველოს პირველობაზე 4 ოქროსა და 5 ვერცხლის მედლებს ორი ბრინჯაოს მედალიც შეემატა.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲙᲝᲮᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ – 13 წლის, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის მოსწავლე. მარიამი საქართველოს პირველობაზე ჯერ თანაგუნდელ ნატალია ყიფშიძეს შეხვდა, შემდეგ გვანცა მეხრიშვილს. ისინი წარმატებული ძიუდოისტები არიან, მაგრამ მათ არც მარიამი ჩამორჩებათ 3 ოქროს, 10 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედლით. მარიამს ძალიან უყვარს მუსიკა. სპორტული დატვირთვის შემდეგ მას ამშვიდებს და ენერგიას მატებს.

ᲐᲜᲐ ᲐᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ – 15 წლის, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეა, სულ წელიწადნახევარია, რაც სექციაში ვარჯიშობს. ერთი ცელქი, ანცი, მოუსვენარი პატარა გოგონა იყო, გაჩხიკული, მაგრამ ენერგიამოზდავებული. არ იცოდა რაში დაეხარჯა ეს ენერგია და მეზობლის ბიჭებს ხეებზე და კედლებზე ძრომიალში ჯაბნიდა. ცოტა მოიზარდა და ესეც მობეზრდა. შემდეგ დაინტერესდა თანაკლასელების წარმატებებით ძიუდოში და ცოტა არ იყოს, გაუბედავად შემოხსნა სექციის კარი. აქ კი ლუდა მასწავლებელი დახვდა თავისი ჩვეული დიმილით, სითბოთი და მეგობრული ურთიერთობებით. მალე მონათლა, გააქრისტიანა და უფრო მეტი ახლობლურ-ნათესაური სიახლოვე იგრძნო, ანას ახლაც ახსოვს გასული წლის 27 ოქტომბერი – თავისი ნათლობის დღე, ნათლობითა და სპორტგაერთიანების ხელმძღვანელების მიერ მოწყობილი ნათლობის სუფრით. – *აქ თავს ძალიან თავისუფლად ვგრძნობ. ჩვენ თანაგუნდელი ძიუდოისტები კი არ ვართ მარტო, აქ ლუდა მასწავლებელმა ერთმანეთს ისე დაგვაახლოვა და შეგვაყვარა, რომ ერთი დიდი, მეგობრული ოჯახი ვართ. აქ მოსვლა მხოლოდ არ გვიხარია, აქ მართალია, ვვარჯიშობთ, ვიღლებით ფიზიკურად, მაგრამ სულიერად ვისვენებთ და იცით, რატომ?! ლუდა მასწავლებელმა სულ იცის ჩვენი ხასიათი, სახეზე კითხულობს ჩვენს განწყობას და ისეთი გულახდილები ვხდებით და ისე ვიცლებით ჩვენი „დარდისგან“, აქედან ლაღები და დამშვიდებულები მივდივართ სახლებში. აქ ჩვენი დიდი ოჯახია, ჩვენ ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ და რაც მთავარია, ჯანსაღი „მეტოქეობა“ გვაქვს. როცა ჩვენი თანაგუნდელი გამოდის ტატამზე, ჩვენ ისე განვიცდით და ისე ვგულშემატკივრობთ, ვინმემ რომ ჩვენს გულისცემას მოუსმინოს., ალბათ გაუკვირდება,* – მეუბნება ანა და განსაკუთრებული სიყვარულით აგრძელებს საუბარს მწვრთნელი – ლუდა მასწავლებელსა და გაერთიანების დირექტორზე, თითოეულ თანამშრომელზე, რომლებიც მათთვის ისე ზრუნავენ, როგორც საკუთარ შვილებზე...

გოგონებს სურათებს ვუღებ, ჯერ ცალ-ცალკე, შემდეგ კი მწვრთნელთან და გაერთიანების დირექტორთან. – სკოლა, სკოლა როგორ იღებს თქვენს გამარჯვებებს? – ვეკითხები გოგონებს და ვიცი, საგარეჯოს სხვადასხვა სკოლებში სწავლობენ ამ ერთ დიდ დარბაზში სამეცადინოდ თავშეყრილი წარმატებისათვის მებრძოლი გოგონები. პასუხი?!..

ისე, სიმართლე გითხრათ, ამ სექციის გახსნას თავდაპირველად მეც ცოტა უნდობლად შევხვდი, „დამენანა“ ძიუდოისტი ქალის, მწვრთნელისა და მსაჯის (ვინც ერთდროულად ორივე ტიტულის მქონე ერთადერთი ქალია საქართველოში) ლუდა ფერაძის „მოცდენა“ საგარეჯოსთვის, მაგრამ ახლა მათ წარმატებებზე მლოცველი და გულშემატკივართა პირველ ათეულში თუ არა, მეორე ათეულში მაინც ვარ... რატომ ხვდება სკოლის ზოგიერთი მასწავლებელი ძიუდოისტი გოგონების წარმატებებს გულგრილად და მცდარი „დამოძღვრით“ – რა გინდა ძიუდოზე, რა ქალის საქმეა ჭიდაობაო? სამაგიეროდ, რას სთავაზობს იგივე მასწავლებელი, სკოლა, რით შეიძლება დაინტერესდეს მოსწავლე?

– რატომ არის ასეთი განწყობა, ვერც მე ვხვდები, – მეუბნება სპორტგაერთიანების დირექტორი გია მაისურაძე, აქ ხომ თავიანთი ფიზიკური მონაცემების გამოსავლენად, ვარჯიშისათვის მოდიან. როცა ადამიანი და მითუმეტეს მოზარდი ვარჯიშობს, ის ხომ ჯანმრთელობაზე ზრუნავს და არც უქმად, უაზროდ ატარებს იმ დროს. აბა, ქუჩაში სეირნობა, მთელი დღე ინტერნეტ სივრცეში ყოფნაა კარგი?! აქ ხომ ისინი მეგობრები, გულშემატკივრებიც ხდებიან და მეორეც, მათ სკოლას საამაყო უხდება მათი წარმატებებიც...

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ულამაზეს ძიუდოისტ ქალებს.

სკანვორდი



მძლეოსანი
ერთუჯრედოვანი
საშობაო სიმღერა
მიშას საყვარელი მომღერალი
ოსტატი და ...
ვასილის თიკუნი
თვალის ექიმი
ქალაქი კოლუმბიაში
რენესანსელი მხატვარი
დიპლომატიური წარმომადგენლობა
წმინდა ქალაქი
სპორტის სახეობა
თავდასხმა
ქალაქი ინდოეთში
ბგერების ერთობლიობა
... კუზანოვი
პატარა
ან ... ან სული
იშრომა
ოპერის მომღერალი
ერთგვარი თქმულება
მდინარე აშშ-ში
გრძელცხვირა ხის ბიჭუნა
ჰოლანდიელი მხატვარი
ანტილოპა
უკმაყოფილების გამოხატვა
მატარებლის გზა
„ჩემი მეგობარი ...“
კარგი ამინდი
კაზაკთა მეთაური
მეტყველების ორგანო
ხილი
ზღაპრის გმირი გოგონა
სოფელი კახეთში
მომღერალი ... ჯოხაძე
ლეგენდა
დღევანდელი დერბენტი
ცნობილი ზღაპრის გმირი
მდინარე ქართლში
იაპონელი მწერალი
ქალაქი რუსეთში
ბასკი ქართველოლოგი
რენომე
სასმელი
შვარცენეგერის სახელი
დიპლომატიური წერილი
დენის გამტარი
აზერბაიჯანული ფული
სამოსი

სუდოკუ

მარტივი

8			1	6				
	1					3	5	9
		9			5	6	8	
	2		7	1				6
9	4			3			1	8
7				9	6		2	
	6	7	9			8		
4	3	8					6	
				8	3			7

საშუალო

8	5	1	7					
			9	8		1	7	
	9				4	3		8
1		3	6				5	
				9				
	2				7	8		6
6		9	3				8	
	4	8		6	9			
					1	6	9	4

რთული

			9	2	6	7		
		6				4	2	
2		3			5			
8					3			1
	3			7			4	
4			8					7
			6			3		4
	8	1				9		
		4	2	3	9			

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ თავისი ბიოგრაფიითა და მოღვაწეობით საგარეჯოს ერთ-ერთ თვალსაჩინო ქალბატონს, ათეული წლების მანძილზე ჩვენი რაიონის პატარა აღსაზრდელების დამფრთიანებელს, მათზე უსაზღვრო სიყვარულით მზრუნველსა და მოამაგეს ქ-ნ **ლუიზა ძიტოშვილ-ჩალათაშვილს.**

თქვენ თქვენი პიროვნული ღირსებებით, ჭირში გამძლეობით, უსამართლობის პირისპირ უტეხი სიმტკიცითა და უშიშარობით, გაჭირვებულის უღალატო გვერდში დგომით და საერთოდ, თქვენეული ცხოვრების წესით, გვაძლევთ გამძლეობის, აქტიური ცხოვრების წესით ცხოვრების, მოყვასის სიყვარულისა და მტრულად განწყობილებთან შემწყნარებლობის საუკეთესო მაგალითებს.

გილოცავთ დაბადების დღეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას გისურვებთ თქვენს საყვარელ შვილთან, შვილიშვილებთან და რძლებთან ერთად. თუ ვინმე ქალბატონი სამშობლოს ჯილდოს – ღირსების ორდენს ღირსეული დამსახურებისათვის ღირსეულად ატარებს, ერთ-ერთი პირველთაგანი თქვენ ხართ, ქალბატონო ლუიზა!

მეგობრები

განათლებული, ინტელექტუალური, მომხიბვლელი და ელეგანტური ქალბატონი **ლუიზა ძიტოშვილი** ზეამაღლებული პიროვნებაა, რომელსაც სიწმინდის, სინდისის, პატიოსნების ლამპარი უპყრია ხელთ.

მისი ცოდნა-მაღალკვალიფიციურობა, უნარი, ჩვენ სკოლამდელი აღზრდის თითოეულ მუშაკს წლების განმავლობაში გაგვინაწილა და დღეს კვლავ ჩვენი დიდი მასწავლებელია – შემართებული, ენერგიული და გაზაფხულივით მშვენიერი.

ქალბატონო ლუიზა, კვლავ არ მოგვშალოს თქვენი იმედი უფალმა. მრავალ დაბადების დღეს ჯანმრთელად შეხვდით. გაგიმრავლდეთ თქვენი ძვირფასი ოჯახი – მოამაგე დედას, ბებიას და დედამთილს.

პატივისცემით: *საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლები*

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო სამშობიარო კლინიკა "Life"-ის გუნდს, გინეკოლოგებს: **მამუკა ხოშტარიას და ტასო ცხვარიაშვილს,** ანესთეზიოლოგს **ალეკო ძოიავას,** პედიატრს **ნანა რევაზიშვილს**, ბავშვის ექთანს **ლია შაძარაშვილს**, სანიტარს **ლალი დარისპანაშვილს** გაწეული გულისხმიერებისათვის და მზრუნველობისთვის მშვიდობით რომ მოავლინეს ჩემი შვილი გეგა ქუმელაშვილი.

პატივისცემით

მთვარისა გაღათრიშვილი

ძიუ-დო

კადეჯი ძიუდოისტები

იანვრის ბოლოს საგარეჯოს ძიუ-დოს დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი კადეტ ძიუდოისტთა შორის, რომელშიც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" შესაბამისი წრეების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. შეჯიბრება სამ ასაკობრივ ჯგუფში – 2001-2002, 2003-2004 და 2005-2007 წლიან ფალავანთა შორის 21 წონით კატეგორიაში გაიმართა, სადაც გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებით.

ჩემპიონატი ყველაზე პ***ატარა ასაკის 2005-2007 წლიანმა*** კადეტებმა გახსნეს. აქ 21 კგ წონით კატეგორიაში ადგილები ასე განაწილდა: I ადგილი – ვახო ჭიაბერაშვილი (გიორგიწმინდა), II – გიორგი ხერგიანი (უდაბნო), III – ლუკა დარისპანაშვილი (გიორგიწმინდა), მერაბ ზირაქაშვილი (მზისგული).

24 კგ წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა შოთა ბაჩოშვილმა, 27 კგ წონით კატეგორიაში – გიგა ბაქარაშვილმა (საგარეჯო), 30 კგ წონით კატეგორიაში – ლევან ღრეულმა (გიორგიწმინდა), 34 კგ წონით კატეგორიაში გიორგი ზუკაკიშვილმა (პატარძეული), 38 კგ წონით კატეგორიაში საბა ოთიაშვილმა (კაკაბეთი), 42 კგ წონით კატეგორიაში – ზურაბ ბიბილურმა (ჩაილური).

2003-2004 წლებში დაბადებულებში – 32 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა თენგო მაისაშვილმა (საგარეჯო), 35 კგ წონით კატეგორიაში – გიორგი ლოლაძემ (ჩაილური), 38 კგ წონით კატეგორიაში – გიგა მასურაშვილმა (კაკაბეთი), 42 კგ წონით კატეგორიაში – მირიან კურდღელაშვილმა, 46 კგ წონით კატეგორიაში – გიორგი დურიშვილმა (საგარეჯო), 50 კგ წონით კატეგორიაში – ზაზა შალვაშვილმა (პატარძეული), 55 კგ წონით კატეგორიაში – სანდრო სონიშვილმა (საგარეჯო).

2001-2002 წლებში დაბადებულებში – 38 კგ წონით კატეგორიაში – ნიკა ჩოკოშვილმა (მზისგული), 42 კგ წონით კატეგორიაში – მინდია ბაბაკიშვილმა (საგარეჯო), 46 კგ წონით კატეგორიაში – თორნიკე ოდიკაძემ, 50 კგ წონით კატეგორიაში – ომარ იობაშვილმა (გიორგიწმინდა), 55 კგ წონით კატეგორიაში – როინ ყორდანაშვილმა (საგარეჯო), 60 კგ წონით კატეგორიაში – ვასილ ოთიაშვილმა (კაკაბეთი), +66 კგ წონით კატეგორიაში – თორნიკე ქურხულმა (საგარეჯო).

გ. დაბახიშვილი

სპორტი

8 წლამდელთა ჩემპიონატი კახეთში

13-14 თებერვალს ყვარელში ჩატარდა კახეთის რეგიონული ჩემპიონატი ჭადრაკში 8 წლამდე ასაკის ბიჭებსა და გოგონებს შორის. ამ ტურნირის მნიშვნელობა იმითაც იზრდებოდა, რომ I და II ადგილზე გასული მოჭადრაკეები საქართველოს ჩემპიონატის საგზურს მიიღებდნენ.

ყვარელის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" მოჭადრაკეთა გუნდი 6 მოჭადრაკის შემადგენლობით. მათგან საუკეთესო შედეგი აჩვენა **ნინო ესაიაშვილმა** (მწვრთნელი ნანი უნაფქოშვილი), რომელმაც ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა **ლუკა ივანელაშვილი** (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი). ორივე მათგანი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 8 წლამდელთა ჩემპიონატში, რომელიც თბილისში 4-13 მაისს გაიმართება.

საქართველოს ჩემპიონატზე

13-14 თებერვალს ქ. თბილისში, ძიუდოს აკადემიაში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში 1999-2000 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის საგარეჯოელი ძიუდოისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. 55 კგ წონით კატეგორიაში I ადგილისა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა ამირან დარბაისელი, 60 კგ წონით კატეგორიაში კი III ადგილი ნიკა ბასილაშვილმა და გუგა მღებრიშვილმა დაიკავეს და შესაბამისად ბრინჯაოს მედლების მფლობელებიც გახდნენ

ჭადრაკი

კახეთის ფედერაციის ჩემპიონატზე

20-21 თებერვალს სიღნაღში ჩატარდა

კახეთის ჭადრაკის ფედერაციის ჩემპიონატი ჭადრაკში 10 წლამდე გოგონებსა და ბიჭებს შორის, სადაც შესანიშნავად ითამაშეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" მოჭადრაკეებმა. ბიჭებს შორის I ადგილი და საქართველოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა **ზუკა გამრეკელაშვილმა**. მან 7 შეხვედრა ჩაატარა, ყველა მეტოქე დაამარცხა და 7 ქულით ღირსეული ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილი დაიკავა **ლუკა ტიგინაშვილმა** (ორივეს მწვრთნელია ირაკლი ქვლივიძე) და ისიც მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც 8-17 აპრილს თბილისში ჩატარდება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **ნინო ესაიაშვილის** გამოსვლა, რომელიც ორი წლით უფროსების წინააღმდეგ თამაშობდა, ჩემპიონის წოდება 10 წლამდე გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა.

შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ნორჩ მოჭადრაკეებს.

ზურაბ აგულაშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

ოთარ არჩუაძის მემორიალი

შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა საგარეჯოში – გარეჯელები საშინაო თუ საერთაშორისო მასშტაბის სახელობითი ტურნირების, მემორიალების ჩატარებით პატივს მიაგებენ სახელგანთქმული გარეჯელი მოჭიდავეების დამსახურებას. ამ დღეებში საქართველოს მრავალგზის პრიზიორის, სპორტის ოსტატის ოთარ არჩუაძის მეშვიდე მემორიალი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში.

თამაზ ბეგეშიძე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (ახალგაზრდებს შორის) შეჯიბრების მთავარი მსაჯი:

– სასიხარულოა, რომ ეს შესანიშნავი ტრადიცია წარმატებით გრძელდება. ასეთი ტურნირების ჩატარება ნორჩი ფალავნების დაოსტატებისათვის შესანიშნავი სკოლაა, რაც დრო გადის – ასეთი ტურნირების პოპულარობა იზრდება, უფრო და უფრო მეტი რეგიონები იღებენ მონაწილეობას, იზრდება მონაწილე ნორჩი მოჭიდავეების რაოდენობაც. ასე იყო ამჯერადაც – ტურნირში მონაწილეობდა თბილისის „მართვეს", თბილისის ლევან თედიაშვილის სახელობის სკოლის, დიდმის, ყაზბეგის, კასპის, რუსთავის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, ყვარლის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, გამარჯვების, ქარელის, ონის და საგარეჯოს 2001-2003 წლებში დაბადებული 220 ნორჩი ფალავანი.

არსენ მეკოკიშვილის ვაჟის გიორგი მეკოკიშვილის მიერ დაწესებული ლევან თედიაშვილის სახელობის პრიზი, ოთარ არჩუაძის ვაჟის სოსო არჩუაძის მიერ დაწესებული ოთარ და მიხეილ არჩუაძის სახელობის პრიზები, თამაზ გეგეშიძის მიერ დაწესებული სპარტაკ ქარსაულიძის და გიორგი გზირიშვილის სახელობის პრიზები, არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზი გადაეცათ: ალექსი გელაძეს (23 კგ. ყაზბეგი), დავით ჭუნაშვილს (26 კგ, ყვარელი), აიდინ ბადიროვს (32კგ. დიღომი), ბექა გიგაურს (38კგ, ქარელი), ბაჩო ქვლივიძეს (53 კგ. საგარეჯო), დავით კუჭუაშვილს (58კგ. საგარეჯო). აღსანიშნავია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკრებულო, საგარეჯოს სპორტული გაერთიანება, ასევე ამ ტრადიციის თაოსნები – ბიჭიკო მარიდაშვილი, ტარიელ როსტომაშვილი, გივი ონაშვილი, თემურ კურდღელაშვილი და სხვები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ეს ტრადიცია წარმატებით გაგრძელდეს და განვითარდეს, რისთვისაც ისინი მადლობას იმსახურებენ.

კვარცხლბეკი (საგარეჯოელები)

29 კგ. II ადგილი – ***თორნიკე ასაბაშვილი***

42 კგ III ადგილი – ***გიგი ქურხული*** (საგარეჯო); ***თორნიკე თულაშვილი*** (საგარეჯო).

46 კგ. 2. ***ფირუზ ქვლივიძე*** (საგარეჯო);

53 კგ. 1. ***ბაჩო ქვლივიძე*** (საგარეჯო); 2. ***მიხეილ ხუციშვილი*** (საგარეჯო);

58 კგ. 1. ***დავით კუჭუაშვილი*** (საგარეჯო);

თენგიზ კოგიაშვილი

ხსოვნა

თენგიზ ივანელაშვილი

თებერვლის მიწურულს დატოვე შენი დიდი, შენთვის ძვირფასი და საყვარელი ოჯახი. ძნელია და მძიმე ჩვენთვის ამ თებერვლის მოსვლა – თებერვალმა ამ ერთი წლის წინ დაგვაშორა ერთმანეთს. ამ ერთ წელიწადში დავრწმუნდით, რომ დრო ვერ განკურნავს შენს მონატრებას. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს უსაზღვროდ გიყვარდა ყველაფერი კარგი, ლამაზი და ქართული. უპირველესი ნიჭი კი შენში ადამიანების მიმართ დიდი სიყვარული, პატივისცემა იყო. მშრომელი, ალალი კაცი ქართული ხალხური სიმღერების დიდი მოტრფიალე და დამფასებელი იყავი, მხარს დიდხანს უმშვენებდი მშობლიურ ვაჟთა ანსამბლ „გარეჯს", არაერთი წარმატება მათთან ერთად იზეიმე და შვილებსა და შვილიშვილებსაც ქართული ფოლკლორის სიყვარულს უნერგავდი.

გვეამაყებოდი, შენ ხომ ერთ-ერთი საუკეთესო წევრი იყავი შენი დიდი მშობლიური საგარეჯოს რაიკავშირის კოლექტივის. მათგან დაფასებული იყავი შენი ადამიანობით, კაცთმოყვარეობით და შრომისმოყვარეობით. შენ ვალმოხდილი წახვედი შენი მშობლიური რაიონის და საყვარელი ოჯახის მიმართ. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს. ყოველთვის იციმციმებს ჩვენგან დანთებული სანთლები.

შენი საყვარელი ოჯახი

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში".

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru